გიორგი ბერიძე*

დაზარალებულის უფლებების დაცვის პროგრამა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისას

I. შესავალი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში, დელიქტური ვალდებულებების თავში 1003-ე მუხლი სამოქალაქო კოდექსის შექმნის დღიდან უცვლელად არსებობს.[1] ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების წესს იცნობდა ჯერ კიდევ რომის სამართალი, კერძოდ, actio de pauperize გულისხმობდა სხვისი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანიდან გამომდინარე სარჩელს.[2] ამასთანავე, რომის სამართალი სხვადასხვა სახის პასუხისმგებლობას ითვალისწინებდა შინაური ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად თავად ამ ცხოველის ქმედებებიდან და მათი ქმედების გაკონტროლების შესაძლებლობიდან გამომდინარე.[3] ნორმის ძირითადი მიზანი იმ მიყენებული ზიანის ანაზღაურებაა, რომელიც პიროვნებას სხვა ადამიანის ცხოველის მიერ მიადგა. აღნიშნული ნორმის ანალოგის მოძიება შესაძლებელია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, მაგალითად, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 833-ე პარაგრაფი[4], აგრეთვე, ესტონეთის ვალდებულებითი სამართლის აქტის 1060-ე

* სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის დოქტორანტი, ადვოკატი. orcid.org/0000-0002-9254-0893.

1 შეად., საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1997 წლის 24 ივლისის რედაქცია, მუხლი 1003.

2 გარიშვილი მ., რომის სამართლის საფუძვლები. თბილისი, 2016, 244.

3 იხ., იქვე, 248.

4 გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2019, პარაგრაფი 833.

მუხლი, რომლის მიხედვით, მეპატრონე ვალდებულია მისი ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისთვის.[5] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ ნორმას დიდი ხნის ისტორია აქვს, საქართველოში მისი გამოყენების კულტურა მწირი პრაქტიკის გამო ჯერ კიდევ არაა სრულად ჩამოყალიბებული. პრაქტიკაში საკმაოდ ბევრი პრობლემური საკითხი წარმოიშობა აღნიშნული ნორმის გამოყენებისას, თუნდაც სათანადო მოპასუხის მითითებისა და ზიანის ოდენობის დაანგარიშების თვალსაზრისით, შესაბამისად, რთულია იმის დადგენა, თუ სად მთავრდება აღნიშნული მუხლის მოქმედების ფარგლები.

II. „ცხოველის" შინაარსობრივი დატვირთვა სსკ-ის 1003-ე მუხლის მიზნებისთვის

სსკ-ის 1003-ე მუხლი დელიქტურ ვალდებულებათა თავის ნაწილია. შესაბამისად, მასზეც ვრცელდება გენერალური დელიქტის წინაპირობები[6]. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ერთიანი პრაქტიკით დადგენილია ნორმის გამოყენების წინაპირობები, მისი გამოყენების გამომრიცხავი გარემოებები და მხარეთა მტკიცების ტვირთი, ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ საქმეებში. თუმცა უშუალოდ აღნიშნული მუხლის წინაპირობების განსაზღვრამდე, უნდა დადგინდეს თავად ცხოველის ცნება, რადგან აღნიშნული ნორმა სპეციალურია და მხოლოდ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებას აწესრიგებს, მისი სპეციალური ხასიათიდან გამომდინარე მხოლოდ შეზღუდულადაა დასაშვები მისი ანალოგიის წესით გამოყენება.

ცხოველი ამ მუხლის მიზნებისათვის უნდა განიმარტოს ფართოდ[7] და ამ ცნების ქვეშ შეიძლება მოიაზრებოდეს შინაური, ეგზოტიკური, წვრილფეხა, მსხვილფეხა და სხვა სახის ცხოვე-

---

[5] EU Consumer Law Acquis Compendium, Munich, 2005, 389.

[6] სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 1003, იხ., <http.www.gccc.ge> [15.04.2022].

[7] იხ., იქვე.

ლები, რომლებზეც მეთვალყურეობას ახორციელებენ მფლობელები ან რომლებიც არიან მფლობელებისგან გაქცეულები.[8] თუმცა ეს ნორმა ვრცელდება აგრეთვე, გარეულ ცხოველებზე, მაგალითად, თევზები, ამფიბიები, ქვეწარმავლები, ფრინველები, ძუძუმწოვრები და სხვ[9]. რომლებიც სახელმწიფოს საკუთრებად მიიჩნევა. ცხოველში მოიაზრება ფუტკარიც,[10] ასევე იგულისხმება ყველა სულიერი არსება, გარდა ადამიანისა და მცენარისა. მასში არ უნდა მოვიაზროთ ისეთი მიკროორგანიზმები, როგორიცაა ბაქტერიები, ვირუსები და სხვ.[11] შესაბამისად, სხვა ადამიანისთვის დაავადების გადადება არ ექცევა სსკ-ის 1003-ე მუხლის მოქმედების სფეროში.

III. ზიანის ანაზღაურება

სსკ-ის 1003-ე მუხლზე, როგორც დელიქტური სამართლის ნაწილზე, ვრცელდება ის წინაპირობები, რაც დადგენილია 992-ე მუხლთან მიმართებით. ასევე, აღსანიშნავია ისიც, რომ შესაძლებელია ამ ორ ნორმას შორის კონკურენციის პრობლემაც წარმოიშვას, რასაც ქვემოთ შევეხებით. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი პრაქტიკის მიხედვით. პირს ზიანის ანაზღაურება დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე შეიძლება დაეკისროს, თუ არსებობს პასუხისმგებლობის დაკისრების აღნიშნული ნორმით დადგენილი წინაპირობები, კერძოდ: ა) ზიანის მიმყენებლის არამართლზომიერი მოქმედება ან უმოქმედობა; ბ) არამართლზომიერ ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის მიზეზობრივი კავშირი; გ) ზიანის მიმყენებლის ბრალი; დ) ზიანი

---

8 ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 327.

9 იქვე, აგრეთვე იხ., „ცხოველთა სამყაროს შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-4 პუნქტი.

10 იხ., ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 327-328.

11 იხ., იქვე, 328.

გამოწვეული უნდა იყოს მოპასუხის საკუთრებაში არსებული ცხოველის მიერ.[12]

ა) სიკეთის ხელყოფა – თავის თავში მოიაზრებს არა მხოლოდ აბსოლუტურ სიკეთეებს (მაგ., სიცოცხლე, ჯანმრთელობა, საკუთრება და სხვ.), არამედ ყველა სხვა ქონებრივ და არაქონებრივ სიკეთესაც.[13]

ბ) ქმედება – გულისხმობს მოქმედებასაც და უმოქმედობასაც,[14] რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს სამოქალაქო ბრუნვის მონაწილეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ვალდებულებიდან[15]. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია არა თავად ცხოველის, არამედ მის მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირის ქმედება ან/და უმოქმედობა. მიუხედავად იმისა, რომ ზიანის მიმყენებელი უშუალოდ ცხოველია, ცხოველის მოქმედება სამართლებრივად არარელევანტურია. ის არის საფრთხის შემცველი მატერიალური ობიექტი და ცხოველის არაპროგნოზირებადი ხასიათიდან გამომდინარე, შეფასების საგანი რისკის რეალიზებაა.[16] ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ კანონმდებლობით, არ აქვს მნიშვნელობა ცხოველი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება, დაკარგულია თუ გაქცეული[17], აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ინგლისის სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში აღნიშნა, რომ შესაძლებელი იყო გაქცეული ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას, ცხოველის მეპატრონის ბატონობიდან გაქცევის გარემოება პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებადაც კი ქცეულიყო.[18] თუმცა ამ საქმე-

---

[12] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

[13] რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 198.

[14] იქვე, 202-203.

[15] იქვე, 203.

[16] სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 1003, იხ., <http.www.gccc.ge> [16.04.022].

[17] საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

[18] იხ., Gomberg v Smith. [1962] EWCA Civ J0122-1.

ში ზემდგომმა ინსტანციებმა სრულად დააკისრეს ზიანის ანაზღაურება მოპასუხეს.[19]

იმისათვის, რომ ქმედება/უმოქმედობა განხორციელებულად ჩაითვალოს, აუცილებელია არსებობდეს უშუალოდ ცხოველის ქმედება ყოველი მესამე პირის მაპროვოცირებელი ქმედების გარეშე, ხოლო თუ არსებობს ამგვარი ჩარევა ქმედებაში, მაშინ უკვე შესაძლებელია ქმედება არა ცხოველის, არამედ მესამე პირის დელიქტურ მოქმედებად იქნეს მიჩნეული და ასეთ პირს 992-ე მუხლის საფუძველზე დაეკისროს პასუხისმგებლობა. ამგვარი მაპროვოცირებელი ქმედებაა, მაგალითად, კბენისკენ ძაღლის წაქეზება.[20] როდესაც მაპროვოცირებელი ქმედება არა მესამე პირისგან, არამედ თავად დაზარალებულისგან მომდინარეობს, ასეთ შემთხვევაში ყოველ კონკრეტულ შემთხვევაზე დაყრდნობით უნდა შეფასდეს, არა მხოლოდ ქმედების სახე, არამედ მიზეზშედეგობრივი კავშირი, აქედან გამომდინარე კი შესაძლებელია დადგეს მხოლოდ დაზარალებულის პასუხისმგებლობა იმ რისკისთვის, რაც მან იტვირთა და ამით გამოირიცხოს ცხოველის მფლობელის/მესაკუთრის პასუხისმგებლობა. მაგალითად, როდესაც პირი ჯირითის ოსტატობის საჩვენებლად გაუხედნავ ცხენზე დაჯდება.[21] განსხვავებული სიტუაცია შეიძლება არსებობდეს მაშინ, როდესაც დაზარალებულის მაპროვოცირებელ ქმედებას პარალელურად ცხოველის მფლობელის ქმედება ან უმოქმედობაც ერთვის, ასეთ შემთხვევაში, სსკ-ის 415-ე მუხლიდან გამომდინარე, შესაძლებელია ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა შემცირდეს, ხოლო თუ მაპროვოცირებელი ქმედება ნაკლებ მნიშვნელოვანია ქმედების განხორციელებაში, როგორც თავად ცხოველის მფლობელის ქმედება/უმოქმედობა, მაშინ

---

[19] იხ. Gomberg v Smith. [1963] vol 680 cc1049-53.

[20] სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 1003, იხ., <http.www.gccc.ge> [16.04.022].

[21] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 329, იხ. ციტირება: G Spindler, O Ricckers, Tort Law in Germany, The Netherlands, 2011, 86.

თანაბრალეულობის საკითხი არ დადგება და კვლავ გამკაცრებულად დაისჯება ცხოველის მესაკუთრე, რომელიც ვალდებულია მიიღოს სათანადო ზომები ცხოველისგან მესამე პირთა დასაცავად.[22]

გ) მიზეზშედეგობრივი კავშირი ქმედებასა და დამდგარ ზიანს შორის – ეკვივალენტურობის და ადეკვატურობის კრიტერიუმებით ფასდება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.[23] როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, როდესაც ქმედებაში ატიპიური მიზეზობრიობით ხდება ჩარევა, ამან შესაძლებელია შეცვალოს მიზეზშედეგობრივი კავშირი და კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, საერთოდ გამოირიცხოს ცხოველის მფლობელის პასუხისმგებლობა.[24]

დ) ბრალი –შესაძლებელია იყოს როგორც განზრახი ისე გაუფრთხილებელი, სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის შესაბამისად.[25] ამასთანავე, განზრახვაც და გაუფრთხილებლობაც უნდა მიემართებოდეს სხვისი სამართლებრივი სიკეთის ხელყოფას და არა დამდგარ ზიანს[26], რადგან შესაძლებელია დამდგარი ზიანის ოდენობა სულერთი იყოს ცხოველის მფლობელისათვის. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ, ვინაიდან ცხოველი მომეტებული საფრთხის წყაროა, ხოლო მის მფლობელს ევალება გარკვეულწილად მესამე პირთა დაცვა მომეტებული საფრთხის წყაროსგან, სწორედ გამკაცრებული პასუხისმგებლობის შემთხვევას აყალიბებს სსკ-ის 1003-ე მუხლი, შესაბამისად, ცხოველის მფლობელს ეკისრება პასუხისმგებლობა ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის, მიუხედავად ბრალის არსებობისა და არაბრალეულობა არ იქნება მისი პასუ-

---

[22] რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი, კაზუსების კრებული, თბილისი, 2020, 25-32.

[23] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

[24] რუსიაშვილი გ., დარჯანია თ., მაისურაძე დ., ზოგადი ვალდებულებითი სამართალი კაზუსების კრებული, თბილისი, 2020, 25-32.

[25] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

[26] რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 205.

ხისმგებლობის გამორიცხვის საფუძველი.[27] ამასთანავე, ქართული ნორმის ანალოგი გერმანიის სამოქალაქო კოდექსში – 833-ე პარაგრაფი[28] გამორიცხავს პასუხისმგებლობას იმ ცხოველის მიერ მიყენებული ზიანისათვის, რომელიც პროფესიული, სამეწარმეო საქმიანობისა და რჩენისათვის გამოიყენება და მის მიმართ აუცილებელ ზრუნვას იჩენს მფლობელი[29]. აღნიშნული გამონაკლისი, დოქტრინაში არსებული მოსაზრების მიხედვით, სსკ-ის 1003-ე მუხლის განმარტებისასაც გამოსადეგია, მაგალითად, იმ შემთხვევისას, როდესაც პოლიციის ნაგაზი აყენებს ზიანს პირის ქონებას.[30]

ე) მართლწინაღმდეგობა – ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ამასთანავე, როდესაც ზიანი ადგება აბსოლუტურ სიკეთეებს, მართლწინააღმდეგობა თავისთავად მოიაზრება და მეორე მხარეს ეკისრება იმის მტკიცების ტვირთი, რომ განხორციელებული ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო. ამასთან, მართლწინააღმდეგობა შეიძლება გამოირიცხოს, როდესაც არსებობს უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევა ან მართლწინააღმდეგობა თავად შედეგიდან გამომდინარეობს.[31] ვინაიდან ცხოველი მომეტებული საფრთხის წყაროა და მის მიმართ სათანადო მეთვალყურეობის გამოჩენაა აუცილებელი, 1003-ე მუხლის გამომდინარე, ასეთი სათანადო მოვლის გამოუჩენლობაც უკვე მართლსაწინააღმდეგო ქმედებაა.[32]

---

[27] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 330.

[28] გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძისა და თ. დარჯანიას რედაქტორობით, მე-2 გამოცემა, თბილისი, 2019, პარაგრაფი 833.

[29] კროპჰოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარი, თ. დარჯანიას და ზ. ჭეჭელაშვილის თარგმანი, ე. ჩაჩანიძის, თ. დარჯანიას და ლ. თოთლაძის რედაქტორობით, თბილისი, 2014, 655.

[30] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 331.

[31] რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016, 206.

[32] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 328.

ვ) ზიანი – დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრების ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია, რადგან შესაძლებელია იყოს ყველა ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმი, მათ შორის, სიკეთის ხელყოფაც, მაგრამ არ დადგეს ზიანი, რაც გამორიცხავს მოთხოვნის უფლებას.[33] მაგალითად, თუ ავიღებთ შემთხვევას, როდესაც საქონელი მწვანილს შეუჭამს მეზობელს, მაგრამ ეს მწვანილი რამდენიმე დღეში ისევ ამოვა. ასეთ დროს, მართალია, არსებობს ყველა გარემოება, მაგრამ ვინაიდან ზიანი არ მიადგა მეორე მხარეს, მოთხოვნა გამორიცხულია. 1003-ე მუხლის მიზნებისათვის ანაზღაურდება როგორც მატერიალური, ისე არაქონებრივი ზიანი, რომელიც ფაქტობრივად დადგა და ასევე მიუღებელი შემოსავალიც.[34] „მნიშვნელობა არ აქვს ემორჩილება ცხოველი მფლობელის ნებას თუ არა. ცხოველის მიერ ზიანის გამოწვევაზე შეიძლება საუბარი მაშინაც იყოს, როდესაც ცხოველი მოქმედებით არ აყენებს ზიანს, არამედ არის მხოლოდ ზიანის მიყენების არაპირდაპირი წყარო. მაგალითად, თავლიდან გაქცეული ცხენის მიერ გზის გადაჭრისას გამოწვეული ავარიაც უნდა მივიჩნიოთ ცხოველის მიერ გამოწვეულ ზიანად."[35] ზიანის ოდენობის მითითება (მათ შორის, მიუღებელი შემოსავლის) ეკისრება მოსარჩელეს, ამასთანავე, სასამართლომ ზიანის ოდენობის დათვლისას ზიანის ასანაზღაურებელ თანხას გამოაკლო ის თანხები, რაც ნორმალური სამეურნეო პირობების გათვალისწინებით, ხარჯის სახით სჭირდებოდა დაზარალებულს, რათა მოსავალი მიეღო.[36]

ზ) ცხოველის კუთვნილება – აუცილებლად დასადგენი კრიტერიუმია სსკ-ის 1003-ე მუხლის მიხედვით. მოსარჩელემ უნდა დაა-

---

[33] რუსიაშვილი გ., ეგნატაშვილი დ., კაზუსები კანონისმიერ ვალდებულებით სამართალში, თბილისი, 2016. 207.

[34] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 329. იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

[35] სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 1003, იხ., <http.www.gccc.ge> [16.04.2022].

[36] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

საბუთოს, რომ ცხოველები, რომლებმაც ზიანი მიაყენეს მას, ეკუთვნის მოპასუხეს.[37] ცხოველების კუთვნილების დაუდგენლობის შემთხვევაში, თუ დადგინდა, რომ ზიანის მიმყენებელი „გარეული ცხოველია", ასეთ შემთხვევაში შესაძლებელია დადგეს სახელმწიფოს პასუხისმგებლობა, რადგან „ცხოველთა სამყაროს შესახებ" საქართველოს კანონიდან გამომდინარე, ასეთ ცხოველებს იცავს და პატრონობს სახელმწიფო.[38] ამ ყველაფერთან ერთად, რა თქმა უნდა, გათვალისწინებული უნდა იქნეს ის გარემოებები, რა დროსაც მოხდა ცხოველის მიერ ზიანის მიყენება, პირობითად, თუ პირი სანადიროდაა წასული ტყეში და ამ დროს მას დაგლეჯს გარეული ცხოველი, ეს სახელმწიფოს მიერ მისთვის ზიანის ანაზღაურების საფუძველი არ იქნება, რადგან ასეთ დროს პირი თავად იღებს ამგვარ რისკს თავის თავზე. თუმცა ზოგადად, სახელმწიფო ვალდებულია დაიცვას მოქალაქეთა სიცოცხლე და ჯანმრთელობა, ასევე უსაფრთხოება, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის მე-10 მუხლის დაცვის ქვეშ ექცევა. შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სათანადო ღონისძიებების გატარება, რათა გარეულმა ცხოველებმა, ნორმალურ საყოფაცხოვრებო პირობებში, ადამიანს ან მის ქონებას ზიანი არ მიაყენონ. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე – „ბერუ თურქეთის წინააღმდეგ", სახელმწიფოს დააკისრა კომპენსაცია უპატრონო ძაღლების მიერ ადამიანის დაგლეჯვის გამო[39].

ის, რომ ცხოველი გარეულია, პირდაპირ არ მიუთითებს სახელმწიფოს პასუხისმგებლობაზე, უნდა დადგინდეს ცხოველი ბუნებითად გარეული ცხოველია, თუ გათავისუფლების შედეგად მოიპოვა თავისუფლება, ამ უკანასკნელის შემთხვევაში, უნდა დადგინდეს ცხოველის გათავისუფლების მომენტი და დრო, თუ როდიდან გახდა ის თავისუფალი ადამიანის ბატონობისგან, ისიც,

---

[37] იხ., საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 11 მაისის Nას-1365-1285-2017 განჩინება.

[38] იქვე.

[39] იხ., Beru v. Turkey [ECtHR], App. No. 47304/07, 11 January 2011.

თუ რა პირობებში გათავისუფლდა ცხოველი. ამ შემთხვევის საილუსტრაციოდ ნათელი მაგალითია გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილება ერთ-ერთ საქმეზე, რომელიც ეხებოდა გათავისუფლებული ბიზონების მიერ მოსარჩელის კუთვნილი ტყის დაზიანებას.[40] სასამართლომ აღნიშნა, რომ BGB-ის 960(2)-ე მუხლის მიხედვით, „დატყვევებული გარეული ცხოველი უპატრონო ხდება, თუ იგი დაიბრუნებს თავის თავისუფლებას, თუ მფლობელი დაუყოვნებლივ არ დაედევნება ცხოველს ან თუ ის უარს ამბობს დევნაზე". სანამ ცხოველის პატრონი აკონტროლებს მკაცრად ან შედარებით სუსტად მის ადგილსამყოფელს, რათა შეინარჩუნოს მისი ფლობა და შეუძლია მისი დაჭერა, ცხოველს თავისუფლება არ აღუდგენია, ის (ჯერ) არ გამხდარა უპატრონო. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბიზონთა გათავისუფლების პროექტი იყო ცხოველთა გადაადგილებული სახეობების ხელახალი დანერგვის პროექტის ექსპერიმენტული ეტაპი. ცხოველები კვლავ ექვემდებარებოდნენ პროექტის ინიციატორი ასოციაციის სულ უფრო და უფრო „მოდუნებულ წვდომას". მაგრამ ასოციაცია შეძლებდა მათ დაჭერას საჭიროების შემთხვევაში, თუმცა სირთულეებით – უბრალოდ იმიტომ, რომ ცხოველები დიდი ზომით გამორჩეულები არიან. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა და ჩათვალა რომ ცხოველები ჯერ კიდევ არ იყვნენ სრულიად თავისუფალნი. აღნიშნული საქმე საინტერესოა იმ მხრივაც, რომ მოსარჩელეს მოთხოვნა დელიქტური ზიანის პარალელურად ნეგატორული სარჩელის საფუძველზე ჰქონდა დაყენებული, რადგან არსებობდა ზიანის განმეორების საფრთხე.[41] აღსანიშნავია, რომ ეს მიდგომა მისასალმებელია და კარგი იქნება, თუ ქართულ პრაქტიკაშიც დაინერგება. აღნიშნულის სამართლებრივი საფუძველი სსკ-ის 172-ე

---

[40] კერძო ტყის მესაკუთრეთა ტოლერანტობის ვალდებულებების შესახებ, როთაარგებირგში ხელახლა შემოყვანილი ბიზონის მიმართ, BGH №098/2019, 2019 წლის 19 ივლისი. იხ., <https://bit.ly/3kMM24o> [16.04.2022]

[41] იხ., იქვე.

მუხლის მე-2 ნაწილია, რომელიც სანივთოსამართლებრივი მოთხოვნაა. შესაბამისად, როდესაც ცხოველი აზიანებს ნივთს, შეიძლება სსკ-ის 172-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 1003-ე მუხლის კონკურენცია გამოიკვეთოს, აღნიშნულ საკითხში 1003-ე მუხლს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, რადგან ის უფრო სპეციალურია. თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ისინი აუცილებლად კონკურირებენ ერთმანეთთან, აღნიშნული ნორმებით ერთდროულად მოთხოვნა საჭიროც კია, როდესაც არსებობს ზიანის განმეორების საფრთხე.

მოხმობილმა შემთხვევამ ცხადყო, რომ ცხოველის კუთვნილების დადგენას დიდი მნიშვნელობა აქვს სათანადო მოპასუხის იდენტიფიცირებისათვის. ყურადღება უნდა გავამახვილოთ იმ ფაქტზეც, რომ პასუხისმგებლობა ეკისრება ცხოველის მფლობელს, რომელიც შეიძლება როგორც მესაკუთრე იყოს, ისე იმ პირს წარმოადგენდეს, რომელზეც მინდობილია ცხოველები საპატრონოდ.[42] შესაბამისად, მოპასუხე მხარედ, ანუ ცხოველის მფლობელად მიიჩნევა „პირი, რომელსაც გააჩნია ცხოველის განკარგვის უფლებამოსილება, საკუთარი ინტერებიდან გამომდინარე ფარავს ცხოველთან დაკავშირებულ ხარჯს, იღებს სარგებელს და ატარებს ცხოველის დაკარგვის მატერიალურ რისკს“[43]. ყველა ამ წინაპირობის არსებობის შემთხვევაში, აუცილებელია, მხარეებმა თავისი წილი მტკიცების ტვირთი სწორად დაძლიონ, რათა საქმე მოსარჩელის სასარგებლოდ გადაწყდეს სსკ-ის მე-4 მუხლის მიხედვით, სასამართლო პროცესი მიმდინარეობს შეჯიბრებითობის საფუძველზე და პროცესის ორივე მხარეა ვალდებული დაამტკიცოს თავისი სასარგებლო არგუმენტები. თუმცა სსკ-ის 1003-ე მუხლის შემთხვევაში, მტკიცების ტვირთის განაწილების შედარებით განსხვავებული სტანდარტი მოქმედებს, რადგან ცხოველის მიერ

---

[42] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები. თბილისი, 2016, 331. იხ. ციტირება: შ. ჩიკვაშვილი, სსკ-ის კომენტარი, წიგნი. IV ტ. II, თბილისი, 2001, 85.

[43] სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 1003, იხ., <http.www.gccc.ge> [16.04.2022].

მიყენებული ზიანის დროს მფლობელი ანაზღაურებს ზიანს, მიუხედავად ბრალისა.[44] საქართველოს უზენაესმა სასამართლომ თავის ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში აღნიშნა, რომ მოსარჩელე ვალდებულია, დაამტკიცოს ზიანის არსებობა და მისი მოცულობა, ასევე, მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის, ხოლო, მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის არარსებობა.[45] ასევე, მის მიერ პირუტყვის სათანადო მეთვალყურეობის ფაქტი.[46] იმ შემთხვევაში, თუ ქმედების განხორციელებისას არსებობს მესამე პირის ხელშემწყობი ქმედებაც, ამგვარი ქმედების დადასტურების ვალდებულებაც მოპასუხეს ეკისრება.[47]

IV. დასკვნა

ცხოველის მიერ მიყენებული ზიანის დროს დაზარალებულს და ზიანის მიმყენებელს აქვთ მტკიცების სხვადასხვა სტანდარტი. დაზარალებულმა უნდა მიუთითოს, რომ არსებობს დელიქტური მოთხოვნის ყველა წინაპირობა, თუმცა დელიქტური სამართლის ჩვეული ფორმისგან განსხვავებით, სსკ-ის 1003-ე მუხლის გამოყენებისას, არცერთ მხარეს არ უწევს ბრალეულობის შესახებ მტკიცება. დაზარალებულს ეკისრება კონკრეტული ზიანის ოდენობის მითითების ვალდებულება, რომელიც შეიძლება იყოს უკვე არსებული, მიუღებელი შემოსავალი ან მორალური ზიანი. დაზარალებულმა უნდა მიუთითოს ზიანის კონკრეტული ოდენობა, რომელშიც არ უნდა მიეთვალოს ის ხარჯები, რომელთა გაწევაც

---

[44] ბიჭია მ., კანონისმიერი ვალდებულებითი ურთიერთობები, თბილისი, 2016, 330.

[45] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 27 მაისის Nას-1277-1217-2014 გადაწყვეტილება.

[46] საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 17 მარტის Nას-1097-1054-2016 განჩინება.

[47] სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, მუხლი 1003, იხ., <http.www.gccc.ge> [16.04.2022].

მას ისედაც მოუწევდა ნივთის მოვლის ან თვისების გამო. იმ შემთხვევაში, როდესაც ცხოველმა მიაყენა ზიანი ისეთ აბსოლუტურ სიკეთეებს, როგორიცაა, საკუთრება, ამ შემთხვევაში მართლსაწინააღმდეგობა ივარაუდება და მოპასუხეს მოუწევს იმის მტკიცება, რომ მისი ქმედება არაა მართლსაწინააღმდეგო. მოსარჩელეს მტკიცების ტვირთში ასევე შედის ცხოველის მეპატრონის დადგენა, რომელიც შეიძლება იყოს სახელმწიფო ან ფიზიკური პირი. გარეული ცხოველის შემთხვევაში უნდა დადგინდეს, ის ადამიანის ბატონობის ქვეშაა თუ არა. საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულ დავაში კანონმდებლობა ძირითადად დაზარალებულს ანიჭებს უპირატესობას, მთავარია, მან სწორად მიუთითოს ფაქტები და დაასაბუთოს მოპასუხის სათანადოობა. დელიქტური მოთხოვნის გვერდით სანივთოსამართლებრივი მოთხოვნა შეიძლება არსებობდეს, აღნიშნული მოთხოვნა მიმართული უნდა იყოს მესაკუთრის საკუთრების უფლების გამოყენების სამომავლო ხელშეშლის აღკვეთისკენ, რათა ზიანის პრევენცია მოხდეს.